12/08/2025

MES 8 25 0000974844

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლა:
თეონა ურიადმყოფელი - სკოლის დირექტორი

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა- თბილისი:
არჩილ სუმბაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლა:
მარინა ფრიდონიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლა:
ივანე გისი - სკოლის დირექტორი

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლა:
მარიამ გარაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს თბილისის არქიმედეს სკოლა:
ლევან მანელიძე - სკოლის დირექტორი

შპს ოქლიფის სკოლა:
მაია გურგენიძე - სკოლის დირექტორი;
ლიანა კობესაშვილი - სკოლის კონსულტანტი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი:
ა) ნორად ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ჯაფარიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლა:
ა) ნინო მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო შუხოშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გურამ ბურდილაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლა:
ა) ავთანდილ კეჭაყმაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) ლელა ეუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო დუმბაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) შოთა მაღლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ბუბაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა მიქავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანგელინა ეფრემიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს თბილისის არქიმედეს სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ტატიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ოქლიფის სკოლა:
ა) გულანარა ხაბურზანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თორნიკე შევარდნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ოქლიფის სკოლა:
ა) გულნარა ხაბურზანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ავალიანი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გ) ნიკა უთალიშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლედი კუთხაშვილი - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია ნაფეტვარიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ევგენი გუგულაშვილი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი. საბჭოს სხდომა 2025 წლის 30 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა- თბილისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
7.შპს თბილისის არქიმედეს სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს ოქლიფის სკოლის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს ოქლიფის სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
10.შპს ოქლიფის სკოლის მიერ საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 12 ივნისის N660839 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი ექიმის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამედიცინო კაბინეტის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნისათვის განესაზღვრა 2025 წლის ივნისი, ხოლო სხვა რეკომენდაციებისთვის 2027 წლის მაისი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამას მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, თეონა ურიადმყოფელმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ხოლო რაც შეეხებოდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, მისი თქმით, მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამას მამსიკაშვილმა, მიმართა და საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

2. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 18 ივნისს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა 2025 წლის 05 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსულ კორესპონდენციაში ასახული გარემოების გამოკვლევა და დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა წერილის შინაარსზე და აღნიშნა, რომ შპს ბაქსვუდის სკოლა-თბილისის წყნეთში მდებარე ფილიალში სავარაუდოდ მოსწავლის მიმართ განხორციელდა ბულინგი, რის გამოც აღიშნული მოსწავლე თებერვლიდან სისტემატურად აღარ დადიოდა სკოლაში.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და რომ მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუები ჩაატარა სკოლის აკადემიურ დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორთან, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერთან, იმ მოსწავლის ტუტორთან, რომელსაც ეხებოდა წერილი. ასევე, დისტანციური ინტერვიუ განხორციელდა მოსწავლის მშობლებთან და თავად მოსწავლესთან. ექსპერტის თქმით, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მომჩივანი მშობლები აღარ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, ასევე, გამოვლინდა, რომ მოსწავლის ბულინგი ხორციელდებოდა სოციალურ ქსელში, ერთ-ერთი ინტერნეტთამაშის დროს, თუმცა, ბულინგს ადგილი არ ჰქონია სკოლის ტერიტორიაზე.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, საჩივარში მოხსენებულ მოსწავლეს ჩაბარებული ჰქონდა თუ არა ექსტერნატის გამოცდა.
სკოლის დირექტორმა, არჩილ სუმბაძემ, აღნიშნა, რომ თავდაპირველად სოციალური სამსახურის ჩართვა იყო დაწესებულების ინიციატივა, მისი თქმით, სკოლის წარმომადგენლებს მშობლებთან ჰქონდა აქტიური კომუნიკაცია, ხოლო, მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ ბულინგი არ ხდებოდა სკოლის ტერიტორიაზე, შეიცვალა მშობლების დამოკიდებულებაც. რაც შეეხებოდა ექსტერნატის გამოცდას, მისი თქმით, მოსწავლე გავიდა ექსტერნატის გამოცდაზე და დაძლია საფეხური, თუმცა, სკოლა იზიარებდა იმ ფაქტს, რომ მოსწავლეს მაინც ესაჭიროებოდა გარკვეული საკითხების გაუმჯობესება და მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმებოდა სპეციალური პროგრამის შემუშავებაც.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, რომ შპს ბაქსვუდის სკოლა ყველა ადმინისტრაციულ წარმოებას ხვდებოდა მომზადებული დოკუმენტაციით.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 14:25
დასრულების დრო 14:31

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის (ს/კ: 205089526) მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

ექსპერტმა, ნინო მიდელაშვილმა, აღნიშნა, რომ ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი და საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, დღის წესრიგით მე-3 საკითხად გათვალისწინებული საკითხი განეხილათ მოგვიანებით.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული თხოვნა და შესაბამისად, მე-3 საკითხად განიხილეს სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

3. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ავთანდილ კეჭაყმაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 05 და 06 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ავთანდილ კეჭაყმაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, 2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა მეტწილად, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.
ექსპერტის, ავთანდილ კეჭაყმაძის განმარტებით, სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ორი მოსწავლე, ასევე, ჰყავდა სპეც. მასწავლებელი.
აქვე, სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ვითარება იყო რესურსოთახის მოწყობასთან დაკავშირებით.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მე და საზოგადოება, მუსიკა) დასაქმებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, ივანე გისმა, აღნიშნა, რომ რესურსოთახად დროებით იყენებდნენ ექიმის კაბინეტს, ხოლო მასწავლებლებთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მუდმივად აცხადებდნენ ვაკანსიებს.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო სპორტული დარბაზის მოწყობასთან და სახანძრო უსაფრთხოებასთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის განმარტებით, სპორტული დარბაზის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა და სახანძრო უსაფრთხოების მოწყობისთვის მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის და ელოდნენ შემდგომ ნაბიჯებს.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას სპორტის მიმართულებით წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი ჰქონდა პროექტი და დაინტერესდა, სპორტის ექსპერტი გაეცნო თუ არა სკოლის მიერ განხორციელებული პროექტის შინაარსს, აქვე, აღნიშნა, რომ საბაზო საფეხურზე, სამივე კლასში სპორტის კურიკულუმი იყო იდენტური, ასევე, ფიზიკის სწავლებისთვის რესურსად გაწერილი იყო მხოლოდ სახელმძღვანელო და დაინტერესდა, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ხაზგასმული იყო თუ არა ეს საკითხები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ირმა ავალიანმა, აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოს გარდა, მასწავლებლები იყენებდნენ ელექტრონულ რესურსებს, თუმცა, ნაწილს ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ექსპერტის მხრიდან გაიცა როგორც ზეპირსიტყვიერი, ასევე, წერილობითი რჩევები.
სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა, გიორგი ბერიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა შესწორებული კურიკულუმები, ხოლო სპორტის მასწავლებლის მიერ ჩატარებულ პროექტზე არ ფლობდა ინფორმაციას.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ სასურველი იყო დაწესებულებას მეტად მოეწესრიგებინა რესურსოთახის საკითხი და ცალკე ოთახად გამოეყო ის და ასევე, დაინტერესდა, ადაპტირებული გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით რა ვითარება იყო დაწესებულებაში.
ექსპერტმა, ავთანდილ კეჭაყმაძემ, აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის. აქვე, სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ რესურსოთახის დროებით გადატანას აპირებდნენ ბიბლიოთეკაში.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:03
დასრულების დრო - 15:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლას (ს/კ: 240907934) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბერძენაული.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბერძენაული.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბერძენაული.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2025 წლის სექტემბერში (სასწავლო წლის დაწყებამდე) 3.1 კომპონენტთან მიმართებით, დაწყებით კლასების საგნებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მე და საზოგადოების და მუსიკის მასწავლებლების ვაკანსიის გამოცხადების, 2027 წლის ივლისში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის, ადაპტირებული გარემოს,

სპორტული დარბაზის, რესურსოთახისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22 და 23 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1000. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1000 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ შენობაში და მათგან ორივე იყო კეთილმოწყობილი, აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით.
ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია),მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა მეტწილად, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაში ასახული იყო „მოსწავლეთა მხარდაჭერა“ და დაინტერესდა, ამ მიმართულებით რა პროექტებს ახორციელებდა დაწესებულება, ასევე, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის მემორანდუმებთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორის, მარიამ გარაშვილის თქმით, კოლეჯ „მერმისთან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მოსწავლეები სწავლობდნენ მინანქარზე მუშაობას, შესაბამისი ინვენტარით კი თავად კოლეჯი ამარაგებდა სკოლას. გარდა ამისა, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა საკმაოდ აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა ღონისძიებას და ქმნიდნენ კლუბებს, საჭიროების შემთხვევაში კი, სკოლის დირექცია მაქსიმალურად უჭერდა მხარს ყველა წამოწყებას.
სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, სწავლების დროს იყო თუ არა დაცული მოსწავლეთა უსაფრთხოება.
სკოლის დირექტორმა, მარიამ გარაშვილმა, აღნიშნა, რომ მინანქრის შესწავლის დროს მოსწავლეთა უსაფრთხოება იყო დაცული.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ხარისხის შეფასების დოკუმენტაციას ესაჭიროებოდა რევიზია.
სკოლის დირექტორმა, მარიამ გარაშვილმა, აღნიშნა, რომ ხარისხის შეფასების გარე შემფასებლებში მოიაზრებოდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელთანაც სკოლას დადებული ჰქონდა ხელშეკრულება და მოსწავლეებს უტარდებოდათ სადიაგნოსტიკო შეფასებები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:33
დასრულების დრო - 15:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 226527728) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი სართიჭალა, აღმაშნებლის ქუჩა N2. გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი სართიჭალა კოსტავას ქუჩა N93.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი სართიჭალა კოსტავას ქუჩა N93.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი სართიჭალა კოსტავას ქუჩა N93.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2025 წლის სექტემბერში (სასწავლო წლის დაწყებამდე) 3.4 კომპონენტთან მიმართებით, სამედიცინო კაბინეტის აღჭურვისა და ექიმის დასაქმების, 2027 წლის ივლისში 2.2 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟებისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო მიდელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების

ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ნინო მიდელაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია),მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) შეფასდა მეტწილად, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო კეთილმოწყობილი, ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ეთნოგრაფიული კუთხე და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

ექსპერტმა, ნინო მიდელაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენდა განხორციელებული მრავალ პროექტი და პროექტების განხორციელებაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის აქტიური ჩართულობა.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ეთნოგრაფიულ კუთხესთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის, ასევე, დაინტერესდა, როდის რეაბილიტირდა სკოლა და ჰქონდა თუ არა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლის დირექტორმა, მარინა ფრიდონიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სკოლისთვის იყო მხარდამჭერი პროცესი და სკოლის წარმომადგენლებმა მიიღეს კვალიფიციური რჩევები და რეკომენდაციები. ეთნოგრაფიულ კუთხესთან დაკავშირებით განმარტა, რომ ჩამოყალიბებული იყო მშობელთა კლუბი და აღნიშნული კუთხის განვითარებაში დიდი როლი ჰქონდა მშობლებს. მდგრადობის დასკვნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მოპოვების მიზნით, მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახული იყო, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით დიაგნოსტიკური წერა ტარდებოდა 2-ჯერ და მიმართა საგნობრივ ექსპერტს, დაეზუსტებინა, მეორე დიაგნოსტიკური წერისთვის შედგენილი ჰქონდა თუ არა სტრატეგია. ასევე, დაინტერესდა ტესტური დავალებებით როგორ ქმნიდნენ მოსწავლეები შემოქმედებით პროდუქტს. ასევე, აღნიშნა, რომ კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასში იყო ერთმანეთისგან განსხვავებული.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ლელა კაკაშვილმა, აღნიშნა, რომ პირველი დიაგნოსტიკური წერის შედეგები განიხილა მხოლოდ დირექტორმა და ექსპერტმა რჩევის სახით განუმარტა, რომ სამომავლოდ განეხილა კათედრებთან ერთად. რაც შეეხებოდა კურიკულუმის ჩარჩოს, ექსპერტის თქმით, გაიცა რჩევა, რომ ყველა კლასში ყოფილიყო ერთიანი ფორმატი. ასევე, განმარტა, რომ თუ მოსწავლეს დაევალებოდა ტესტურ დავალებაში შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, სკოლა დაამატებდა ესსეს დაწერის გრაფასაც, ამ მიმართულებითაც გაცემული იყო რჩევა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო ტექნოლოგიების მასწავლებლის დასაქმებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, მარინა ფრიდონიშვილმა, აღნიშნა, რომ გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია, არ დარეგისტრირებულა არც ერთი კანდიდატი და აგვისტოს თვეში კიდევ აპირებდნენ გამოცხადებას.
საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო მშობლებისა და სასკოლო საზოგადოების ასეთი აქტიური ჩართულობა სკოლის განვითარების პროცესში.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ კათედრის ოქმები შედგენილი იყო ძალიან დეტალურად და ამ ფონზე მეტი მოლოდინი ჰქონდა კურიკულუმების მიმართ. კერძოდ, მე-7 კლასის ქართულის კურიკულუმის თემატიკასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ დავალების იდეაში გაწერილი იყო ესეს დაწერა სიკვდილით დასჯაზე, ხოლო, შემოქმედებითი დავალება ეხებოდა სიგარეტის, ალკოჰოლისა და არაჯანსაღი კვების შესახებ პროდუქტის შექმნას, მისი თქმით, არ იყო დავალებების შინაარსის ბმა, ასევე, ბმა არ იყო რესურსებს შორის და რჩევის სახით განუცხადა სკოლის წარმომადგენელს, კურიკულუმების მიმართულებით განეხორციელებინა რევიზია.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:02
დასრულების დრო - 16:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლას (ს/კ: 227752170) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩალაუბანი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩალაუბანი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩალაუბანი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში (სასწავლო წლის დაწყებამდე) 3.1 კომპონენტთან მიმართებით, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის დასაქმების, 2027 წლის ივლისში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 და მე-7 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებს.

6. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა; 7.შპს თბილისის არქიმედეს სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 ივნისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადები.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სურდა ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი 34/ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 2ა-ში, ხოლო თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 650.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის შეფასება მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობის პირობებში და დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების პირობებში. ექსპერტებმა შეამოწმეს სკოლის მზაობა: უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობისა და ფართის ცვლილების შემთხვევაში; შეძლოს მოსწავლეთა კვალიფიციური ადამიანური რესურსით მომსახურება, უზრუნველყოს სკოლაში მიმდინარე პროცესების, საინფორმაციო რესურსების ეფექტიანად მართვა, საზოგადოებასთან კომუნიკაცია და სკოლის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობა.
ექსპერტის თქმით, სკოლის სტრუქტურა იყო ნათლად გამიჯნული და ყველა რგოლი ფუნქციონირებდა კოორდინირებულად, სკოლაში დაცული იყო უსაფრთხოების სტანდარტები, საქმისწარმოება ხორციელდებოდა სკოლის შიდა მარეგულირებელი ნორმების დაცვით და არსებულ რესურსებს იყენებდნენ მიზნობრივად და ეფექტურად.
ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება და მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსი.
სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
სკოლის დირექტორმა, ლევან მანელიძემ, აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ პროექტი შეთანხმებული იყო და ელოდნენ დასკვნას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :

1. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი.
2. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 650-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:23
დასრულების დრო 16:31

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

1. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს თბილისის არქიმედეს სკოლის(ს/კ: 405101562) მისამართის/ფართის ცვლილება და დანართში ასახულ მისამართზე მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი პეკინის გამზირი 34/ ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 2ა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი პეკინის გამზირი 34/ ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 2ა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი პეკინის გამზირი 34/ ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 2ა.

2. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ

დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის არქიმედეს სკოლას (ს/კ: 405101562) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650-ით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-8, მე-9 და მე-10 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების, და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვას.

8. შპს ოქლიფის სკოლის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს ოქლიფის სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
10.შპს ოქლიფის სკოლის მიერ საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატებისშესახებ საკითხის განხილვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02, 03 და 04 ივლისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებისა და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადები.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სურდა ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 33ა-ში, ხოლო თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 135.

ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან ერთად, მოსწავლეებს სთავაზობდა ისეთ მომსახურებას, რომელიც საშუალებას მისცემდა უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებში ე.წ მოსამზადებელი წლის გავლის გარეშე ჩარიცხვას. ამ მიზნით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება საერთაშორისო ორგანიზაციასთან, Education Pathways Group Ltd, რომელსაც ჰქონდა საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება. თანამშრომლობის ფარგლებში სკოლამ ასევე გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლეთა მომზადებას სოციალურ მეცნიერებებსა და ბიზნესში. შპს ოქლიფის სკოლა Unique Learning თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით სწავლა გაეგრძელებინა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის პრესტიჟულ სკოლებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა ინდივიდუალური მუშაობა იმ მოსწავლეებთან, ვისაც საზღვარგარეთ სურდა სწავლის გაგრძელება, ასევე, სკოლაში იყო დოკუმენტაციის წარმოების მაღალი კულტურა.

ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება (მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობისა და მისამართის/ფართის ცვლილებასთან მიმართებით) მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო საბაზო საფეხურის პროგრამის დამატებასთან მიმართებით, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტების შემოწმება, რომელიც ასევე შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით, ასევე, ჰქონდა ბიბლიოთეკა, სამკითხველო სივრცე, აქვე, აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი და მოსწავლეთათვის სასწავლო პერიოდში სპორტული მოედნით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იბერია ქონსტრაქშენისა“ და შპს ოქლიფის სკოლას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი განუსაზღვრელი დროით, აღნიშნული მოედანი ფაქტობრივად ესაზღვრებოდა სკოლას, ასევე, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება დახურული სპორტული მოედნის სარგებლობასთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, სკოლის შენობა იყო ადაპტირებული.

სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და რა ვითარება იყო ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით.

ექსპერტის, გულიკო ხაბურზანიას განმარტებით, სკოლაში შექმნილი იყო ადაპტირებული გარემო.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რამდენად ჰქონდათ სკოლის კურსდამთავრებულებს სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა.

სკოლის დირექტორმა, მაია გურგენიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლებსა და კურსდამთავრებულებს ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ ხაზი გაუსვა სკოლის საუკეთესო გამოცდილებას.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მასწავლებელთა უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა დადასტურებული კვალიფიკაცია (მოწვეული და მაძიებლი მასწავლებლები) და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა ვითარება იყო ამ მიმართულებით.
სკოლის კონსულტანტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ მასწავლებლობის მაძიებელ მასწავლებლებს ჩაბარებული ჰქონდათ გამოცდა და ელოდნენ მასწავლებლის პროგრამის დასრულებას, რიგ შემთხვევებში კი სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი და მიმდინარეობდა გასაუბრება.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, აღნიშნა, რომ შეისწავლეს მასწავლებელთა პირადი საქმეები და მოწვეული მასწავლებლების სტატუსი განპირობებული იყო იმით, რომ დაწესებულება ახორციელებდა მხოლოდ საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას და შესაბამისად, დატვირთვა იყო ნაკლები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :

1. შპს ოქლიფის სკოლის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი.
2. შპს ოქლიფის სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 135-ით განსაზღვრის საკითხი;
3. შპს ოქლიფის სკოლის მიერ საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 30 ივლისი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:03
დასრულების დრო 17:12

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

1. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე

დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ოქლიფის სკოლის (ს/კ: 215149284) მისამართის/ფართის ცვლილება და დანართში ასახულ მისამართზე მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 30 ივლისი.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 33ა.
2	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 33ა.

2. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს ოქლიფის სკოლას (ს/კ: 215149284) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 135-ით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 30 ივლისი.

3. გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იმავე მუნიციპალიტეტში განხორციელებული საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^1-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ოქლიფის სკოლას (ს/კ: 215149284) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს საბაზო

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 30 ივლისი.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმ ანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმა ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 33ა.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები დარეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

ელექტრონული
ფასიანი
ელექტრონული